



## რეგიონის ობლიგაციების ბაზრის მიმოხილვა


საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყაზახეთი, უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, უზბეკეთი

რეგიონი | ობლიგაციები  
ყოველთვიური მიმოხილვა  
7 ივლისი, 2020

### ძირითადი საკითხები


- საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) 2020 წლის ივნისში განაახლა პროგნოზები და 2020 წლის მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 1.9პპ-ით გააუმჯობესა და წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 4.9%-ით შემცირება. რეგიონულ ეკონომიკებს შორის დეტალური პროგნოზი ხელმისაწვდომია მხოლოდ რუსეთზე, სადაც 2020 წელს მსოფლიო ეკონომიკის 6.6% შემცირება. განვითარებად ევროპაში მსოფლიო ეკონომიკის მშპ-ს 5.8%-იანი შემცირება. სავალუტო ფონდი მსოფლიო ეკონომიკის გამოგოცხლებას 2021 წლიდან ელოდება და მსოფლიო ეკონომიკის 5.4%-იან ზრდას პროგნოზირებს, თუმცა მშპ-ს ეს დონე 6.5 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება COVID-19-მდე არსებულ პროგნოზებს.
- სავალუტო ფონდის მიხედვით, ფინანსური ბაზრებსა და რეალურ ეკონომიკას შორის კავშირები მნიშვნელოვნად შესუსტებულია. ბოლო პერიოდში, გლობალურ ბაზრებზე სწრაფად შემცირდა საკრედიტო სპრედები. ასევე აღსანიშნავია აშშ-ს საინვესტიციო რეიტინგის მქონე კორპორატიული ობლიგაციების საკმაოდ დაბალი სპრედები, რაც წინა ეკონომიკური კრიზისების დროს სახეზე არ იყო.
- რეგიონის ცენტრალური ბანკების უმეტესობამ ივნისში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები შეამცირა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პოლიტიკის განაკვეთი 25სპ-ით შემცირდა 8.25%-მდე, სომხეთში 50სპ-ით 4.5%-მდე, აზერბაიჯანი 25სპ-ით 7.0%-მდე, ბელარუსში 75სპ-ით 8.0%-მდე, უკრაინაში 200სპ-ით 6.0%-მდე, ხოლო რუსეთმა და თურქეთმა პოლიტიკის განაკვეთები 50სპ-ით შეამცირეს შესაბამისად, 4.5% და 8.25%-მდე. ყაზახეთმა და უზბეკეთმა პოლიტიკის განაკვეთები უცვლელად, 9.5% და 15.0%-იან მაჩვენებლებზე შეინარჩუნეს.
- რეგიონის ქვეყნების უმეტესობაში გაცვლითი კურსი ივნისში დასტაბილურდა. ივნისის თვეში აშშ დოლარის მიმართ ყველაზე მნიშვნელოვნად ლარი გამყარდა (3.2%-ით), ამავე პერიოდში KZT 1.5%-ით გამყარდა. სხვა ვალუტის კურსები ძირითადად არ შეცვლილა, მათ შორის AMD და UAH უმნიშვნელოვნოდ გამყარდა (+0.8% და +0.6%, შესაბამისად), ხოლო BYN და TRY კი უმნიშვნელოდ გაუფასურდა (-0.3% და -0.4%, შესაბამისად). ამასთან, ივნისის თვეში რუბლი 1.5%-ით გაუფასურდა.
- ივნისის განმავლობაში ბაზრის განწყობები რეგიონის სახელმწიფო ევროობლიგაციებზე არაერთგვაროვანი იყო. ყველაზე კარგი შედეგი UKRAINE 21-მა აჩვენა და შემოსავლიანობა 214სპ-ით შემცირდა, შემდეგი იყო TURKEY 21, რომლის შემოსავლიანობაც 94სპ-ით შემცირდა. ამასთან, აზერბაიჯანის და რუსეთის ევროობლიგაციებზე შემოსავლიანობა მცირედით 36სპ-ით და 17სპ-ით შემცირდა. ბელარუსმა ივნისის თვეში ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა, შემოსავლიანობა 147სპ-ით გაიზარდა, ხოლო სომხეთისა და საქართველოს ევროობლიგაციებზე, შემოსავლიანობა მცირედით გაიზარდა, 42სპ-ით და 20-სპ-ით, შესაბამისად. დანარჩენ ევროობლიგაციებზე შემოსავლიანობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.
- ქართულ კორპორატიულ ევროობლიგაციებს შორის საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ (GOGC 21) საუკეთესო შედეგი აჩვენა, რომლის შემოსავლიანობა ივნისში 213სპ-ით შემცირდა, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაციის შემოსავლიანობა 54სპ-ით შემცირდა ამავე პერიოდში. ქართულ ბანკებს შორის, საქართველოს ბანკის ობლიგაციამ აჩვენა საუკეთესო შედეგი და შემოსავლიანობა 140სპ-ით დაეცა, ხოლო TBC 24-ზე შემოსავლიანობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ამასთან, GEOCAP 24-ზე შემოსავლიანობა ივნისში 25.1სპ-ით გაიზარდა, ხოლო სილქნეტის ევროობლიგაციამ შედარებით კარგი შედეგი აჩვენა და შემოსავლიანობა 85სპ-ით შემცირდა.

### სახელმწიფო ევროობლიგაციების სპრედი: რეგიონი vs მსგავსი ქვეყნები



წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარიტი

### სახელმწიფო ევროობლიგაციების შემოსავლიანობის ცვლილება მაისში, პპ



წყარო: Bloomberg

### ქვეყნების საკრედიტო რეიტინგები

ქვეყანა	Fitch	Moody's	S&P
საქართველო	BB	Ba2	BB
რუსეთი	BBB	Baa3	BBB
ყაზახეთი	BBB	Baa3	BBB-
აზერბაიჯანი	BB+	Ba2	BB+
სომხეთი	BB-	Ba3	n/a
უზბეკეთი	BB-	B1	BB-
თურქეთი	BB-	B1	BB-
ბელარუსი	B	B3	B
უკრაინა	B	Caa1	B

წყარო: Fitch, Moody's, S&P

**ევა ზოჭორიშვილი** - კვლევების უფროსი  
| evabochoishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8036



**ანა ნაჭყებია** - უფროსი ანალიტიკოსი  
| ananachkebia@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8137

**გიორგი ირემაშვილი** - ანალიტიკოსი უფროსი  
| giremashvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 4691


**ნიკა მეგუთნიშვილი** - ანალიტიკოსი  
| nmegutnishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 7875



## სახელმწიფო ევროობლიგაციების შემოსავლიანობა



წყარო: Bloomberg




წყარო: Bloomberg


შენიშვნა: ინფორმაცია განახლებულია 30 ივნისის მდგომარეობით




საერთოვლო vs BB




სპრედი ამერიკის საბაზონო ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




რუსეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი vs BBB




სპრედი ამერიკის საბაზონო ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




სომხეთი, უზბეკეთი და თურქეთი vs BB-




სპრედი ამერიკის საბაზონო ობლიგაციების შემოსავლიანობასთან



უკრაინა და ბელარუსი vs B



სპრედი ამერიკის საბაზონო ობლიგაციების შემოსავლიანობასთან




წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარიტი

წყარო: Bloomberg



რეგიონის ვალუტების გაცვლითი კურსი აშშ დოლართან, ინდექსი აგვ 2014=100



წყარო: Bloomberg

ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები


	ივნ-19	ივლ-19	აგვ-19	სექ-19	ოქტ-19	ნოვ-19	დეკ-19	იან-20	თებ-20	მარ-20	აპრ-20	მაი-20	ივნ-20
საქართველო	6.50%	6.50%	6.50%	7.50%	8.50%	8.50%	9.00%	9.00%	9.00%	9.00%	8.50%	8.50%	8.25%
სომხეთი	5.75%	5.75%	5.75%	5.50%	5.50%	5.50%	5.50%	5.50%	5.50%	5.25%	5.00%	5.00%	4.50%
აზერბაიჯანი	8.50%	8.25%	8.25%	8.00%	7.75%	7.50%	7.50%	7.25%	7.25%	7.25%	7.25%	7.25%	7.00%
ბელორუსია	10.00%	9.50%	9.50%	9.50%	9.50%	9.00%	9.00%	9.00%	8.75%	8.75%	8.75%	8.00%	8.00%
უკრაინა	17.50%	17.00%	17.00%	16.50%	15.50%	13.50%	11.00%	11.00%	11.00%	10.00%	8.00%	8.00%	6.00%
ყაზახეთი	9.00%	9.00%	9.00%	9.25%	9.25%	9.25%	9.25%	9.25%	9.25%	12.00%	9.50%	9.50%	9.50%
რუსეთი	7.50%	7.25%	7.25%	7.00%	6.50%	6.50%	6.25%	6.25%	6.00%	6.00%	5.50%	5.50%	4.50%
უზბეკეთი	16.00%	16.00%	16.00%	16.00%	16.00%	16.00%	16.00%	16.00%	16.00%	16.00%	15.00%	15.00%	15.00%
თურქეთი	24.00%	19.75%	19.75%	16.50%	14.00%	14.00%	12.00%	11.25%	10.75%	9.75%	8.75%	8.25%	8.25%
აშშ	2.50%	2.25%	2.25%	2.00%	1.75%	1.75%	1.75%	1.75%	1.75%	0.25%	0.25%	0.25%	0.25%
ევროპა	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%

წყარო: ცენტრალური ბანკები




## კორპორატიული ევროობლიგაციები რეგიონის ქვეყნებში


### ტელეკომუნიკაციების სექტორი



### ენერჯეტიკის სექტორი



### ფინანსური სექტორი



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: ინფორმაცია განახლებულია 30 ივნისის მდგომარეობით.


ჯეოკაპი (GEOCAP) არის პოლიდინგური კომპანია

\* ობლიგაციები გამოსყიდვადია




## ქართული ევროობლიგაციების შემოსავლიანობა


კვაზი სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობა




საფინანსო სექტორის ობლიგაციების შემოსავლიანობა



ტელეკომუნიკაციების სექტორის ობლიგაციების შემოსავლიანობა



უვადო ობლიგაციების შემოსავლიანობა




წყარო: Bloomberg

წყარო: Bloomberg



# საქართველოს სახაზინო ობლიგაციები


საქართველოს სახელმწიფო ევროობლიგაციისა და მთავრობის სახაზინო ობლიგაციების შემოსავლიანობა




წყარო: Bloomberg, სეზ, გალტ & თავარტი

შენიშვნა: ლარის სახაზინო შემოსავლიანობა დათვლილია სეზ-ის ყოველდღიური შემოსავლიანობის მრუდის მიხედვით


## სახაზინო ობლიგაციები მფლობელების მიხედვით, მლნ. ლარი



## არა-რეზიდენტების წილი მთლიან სახაზინო ობლიგაციებში




## საპროცენტო განაკვეთები სახაზინო ობლიგაციებზე



წყარო: სეზ

## 10წ vs 2წ და 10წ vs 6თ სახაზინო ობლიგაციების სპრედები




წყარო: სეზ






## ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციები

### დოლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციები




წყარო: სებ, გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: წრის ზომა შეესაბამება ემისიის ზომას, მაქსიმუმში 35 მლნ. აშშ დოლარი

### ლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციები




წყარო: სებ, გალტ & თაგარტი  
ნიშვნა: წრის ზომა შეესაბამება ემისიის ზომას, მაქსიმუმში 90 მლნ. ლარში დენომინირებული ობლიგაციები მცურავი განაკვეთის მქონეა, კუპონები დათვლილია მიმდინარე 8.25%-იანი რეფინანსირების განაკვეთის დამატებით

### კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი, მლნ. ლარი



წყარო: სებ, გალტ & თაგარტი

### კორპორატიული ობლიგაციები სექტორების მიხედვით, 1Q20



წყარო: სებ, გალტ & თაგარტი





# დანართი

გამომწვები	Ticker	ISIN	ვალუტა	კუპონი	სექტორი	დაფარვის თარიღი	დურაცია	მოცულობა მლნ აშშ \$	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი	რეიტინგი (Moody/Fitch/S&P)
<b>სუვერენული ვერობლიგაციები</b>											
აზერბაიჯანი	AZERBJ	XS1678621522	USD	2.8%	Government	9/1/2020	0.2	174	100.1	1.9	Ba2u/BB+/-
აზერბაიჯანი	AZERBJ	XS1678622090	USD	2.8%	Government	9/1/2021	1.1	174	100.1	2.7	Ba2u/BB+/-
აზერბაიჯანი	AZERBJ	XS1044540547	USD	4.8%	Government	3/18/2024	3.4	1,250	106.7	2.8	Ba2u/BB+/-
აზერბაიჯანი	AZERBJ	XS1678623064	USD	5.1%	Government	9/1/2029	6.5	311	105.4	4.4	Ba2u/BB+/-
აზერბაიჯანი	AZERBJ	XS1678623734	USD	3.5%	Government	9/1/2032	9.0	1,077	97.8	3.7	Ba2u/BB+/-
სომხეთი	ARMEN	XS0974642273	USD	6.0%	Government	9/30/2020	0.2	700	99.8	6.6	Ba3/BB-/-
სომხეთი	ARMEN	XS1207654853	USD	7.2%	Government	3/26/2025	4.0	500	112.7	4.1	Ba3/BB-/-
სომხეთი	ARMEN	XS2010043904	USD	4.0%	Government	9/26/2029	7.5	500	97.0	4.3	Ba3/BB-/-
სომხეთი	BELRUS	XS1634369067	USD	6.9%	Government	2/28/2023	2.3	800	100.4	6.7	B3u/B/B
სომხეთი	BELRUS	XS1634369224	USD	7.6%	Government	6/29/2027	5.4	600	103.4	7.0	B3u/B/B
სომხეთი	BELRUS	XS1760804184	USD	6.2%	Government	2/28/2030	7.0	600	96.1	6.8	B3u/B/B
ყაზახეთი	KAZAKS	XS1120709669	USD	3.9%	Government	10/14/2024	3.9	1,500	109.3	1.6	Baa3/BBB/BBB-
ყაზახეთი	KAZAKS	XS1263054519	USD	5.1%	Government	7/21/2025	4.4	2,500	116.2	1.8	Baa3/BBB/BBB-
ყაზახეთი	KAZAKS	XS1263139856	USD	6.5%	Government	7/21/2045	14.3	1,500	148.4	3.6	Baa3/BBB/BBB-
ყაზახეთი	KAZAKS	XS1120709826	USD	4.9%	Government	10/14/2044	15.3	1,000	127.4	3.2	Baa3/BBB/BBB-
რუსეთი	RUSSIA	XS0767472458	USD	4.5%	Government	4/4/2022	1.7	2,000	105.8	1.1	Baa3/BBB/BBB-
რუსეთი	RUSSIA	XS0971721450	USD	4.9%	Government	9/16/2023	3.0	3,000	111.4	1.2	Baa3/BBB/BBB-
რუსეთი	RUSSIA	RU000A0JWHA4	USD	4.8%	Government	5/27/2026	5.2	3,000	114.4	2.1	-/BBB/-
რუსეთი	RUSSIA	XS0088543193	USD	12.8%	Government	6/24/2028	5.8	2,500	172.5	2.6	Baa3/BBB/BBB-
რუსეთი	RUSSIA	RU000A0JXTS9	USD	4.3%	Government	6/23/2027	6.1	2,405	112.2	2.3	-/BBB/-
რუსეთი	RUSSIA	RU000A0ZYNN4	USD	4.4%	Government	3/21/2029	7.3	3,000	114.0	2.6	-/BBB/-
რუსეთი	RUSSIA	RU000A1006S9	USD	5.1%	Government	3/28/2035	10.7	4,000	124.4	3.0	-/BBB/-
რუსეთი	RUSSIA	XS0767473852	USD	5.6%	Government	4/4/2042	13.8	3,000	136.7	3.3	Baa3/BBB/BBB-
რუსეთი	RUSSIA	XS0971721963	USD	5.9%	Government	9/16/2043	14.2	1,500	142.2	3.3	Baa3/BBB/BBB-
რუსეთი	RUSSIA	RU000A0JXU14	USD	5.3%	Government	6/23/2047	16.1	7,000	133.5	3.4	-/BBB/-
უკრაინა	UKRAIN	XS1303918939	USD	7.8%	Government	9/1/2020	0.2	1,780	100.6	4.0	B3u/B/B
უკრაინა	UKRAIN	XS1303920083	USD	7.8%	Government	9/1/2021	1.1	1,409	103.6	4.5	B3u/B/B
უკრაინა	UKRAIN	XS1303921214	USD	7.8%	Government	9/1/2022	1.9	1,384	104.7	5.4	B3u/B/B
უკრაინა	UKRAIN	XS1303921487	USD	7.8%	Government	9/1/2023	2.7	1,355	105.7	5.7	B3u/B/B
უკრაინა	UKRAIN	XS1303925041	USD	7.8%	Government	9/1/2024	3.4	1,339	105.5	6.2	B3u/B/B
უკრაინა	UKRAIN	XS1303925470	USD	7.8%	Government	9/1/2025	4.1	1,329	105.6	6.5	B3u/B/B
უკრაინა	UKRAIN	XS1303926528	USD	7.8%	Government	9/1/2026	4.8	1,318	105.6	6.6	B3u/B/B
უკრაინა	UKRAIN	XS1303927179	USD	7.8%	Government	9/1/2027	5.3	1,307	105.3	6.8	B3u/B/B
უკრაინა	UKRAIN	XS1902171757	USD	9.8%	Government	11/1/2028	5.8	1,600	115.9	7.2	-/B/-
უკრაინა	UKRAIN	XS1577952952	USD	7.4%	Government	9/25/2032	7.5	3,000	102.1	7.1	-/B/B
საქართველო	GEORG	XS0617134092	USD	6.9%	Government	4/12/2021	0.7	500	102.2	3.9	Ba2/BB/BB



გამომწვევი	Ticker	ISIN	ვალუტა	კუპონი	სექტორი	დაფარვის თარიღი	დურაცია	მოცულობა მლნ აშშ \$	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი,	რეიტინგი (Moody/Fitch/S&P)
<b>კორპორატიული ვერობლიგაციები</b>											
SILKNET JSC	SILNET	XS1843443430	USD	11.0%	Communications	4/2/2024	3.0	200	103.7	9.8	B1/B+/-
TURK TELEKOMUNIKASYON AS	TURKTI	XS1028951264	USD	4.9%	Communications	6/19/2024	3.5	500	99.2	5.1	-/BB-/BB-
TURK TELEKOMUNIKASYON AS	TURKTI	XS1955059420	USD	6.9%	Communications	2/28/2025	3.9	500	105.6	5.5	-/BB-/BB-
TURKCELL ILETISIM HIZMET	TCELLT	XS1298711729	USD	5.8%	Communications	10/15/2025	4.5	500	101.7	5.4	B1u/BB-/BB-
TURKCELL ILETISIM HIZMET	TCELLT	XS1803215869	USD	5.8%	Communications	4/11/2028	6.1	500	99.4	5.9	/BB-/BB-
SOUTHERN GAS CORRIDOR	SGCAZE	XS1319820897	USD	6.9%	Energy	3/24/2026	4.7	2,000	115.4	3.9	Ba2/BB+/-
STATE OIL CO OF THE AZER	SOIAZ	XS0903465127	USD	4.8%	Energy	3/13/2023	2.5	1,000	104.3	3.1	Ba2/BB+/BB-
STATE OIL CO OF THE AZER	SOIAZ	XS1196496688	USD	7.0%	Energy	3/18/2030	7.1	750	118.2	4.6	NR/BB+/BB-
GEORGIAN OIL & GAS CORP	GEOROG	XS1319820384	USD	6.8%	Energy	4/26/2021	0.8	250	100.8	5.8	-/BB/BB- *
KAZMUNAYGAS NATIONAL CO	KZOKZ	XS1595713279	USD	3.9%	Energy	4/19/2022	1.7	500	102.5	2.5	Baa3/BBB-/BB
KAZMUNAYGAS NATIONAL CO	KZOKZ	XS0925015074	USD	4.4%	Energy	4/30/2023	2.6	1,000	104.3	2.8	Baa3/BBB-/BB
KAZMUNAYGAS NATIONAL CO	KZOKZ	XS1807299174	USD	4.8%	Energy	4/24/2025	4.3	500	107.9	3.0	Baa3/BBB-/BB
KAZMUNAYGAS NATIONAL CO	KZOKZ	XS1595713782	USD	4.8%	Energy	4/19/2027	5.8	1,000	108.8	3.3	Baa3/BBB-/BB
KAZMUNAYGAS NATIONAL CO	KZOKZ	XS1807300105	USD	5.4%	Energy	4/24/2030	7.7	1,250	113.8	3.7	Baa3/BBB-/BB
KAZTRANS GAS JSC	KZTGKZ	XS1682544157	USD	4.4%	Energy	9/26/2027	6.1	750	107.9	3.1	Baa3/BBB-/BB
TUPRAS-TURKIYE PETROL RA	TUPRST	XS1686704948	USD	4.5%	Energy	10/18/2024	3.8	700	93.6	6.2	B1/BB-/BB-
GEORGIAN RAILWAY JSC	GRAIL	XS0800346362	USD	7.8%	Industrial	7/11/2022	1.8	500	102.0	6.7	-/BB-/B+
INTERNATIONAL BANK OF AZ	IBAZAZ	XS1678463784	USD	3.5%	Financial	9/1/2024	3.7	1,000	91.0	6.0	-/B-/BB-
BANK OF GEORGIA JSC	GEBGG	XS1405775880	USD	6.0%	Financial	7/26/2023	2.7	350	99.8	6.1	Ba2/BB-/BB-
TBC BANK JSC	TBCBGE	XS1843434363	USD	5.8%	Financial	6/19/2024	3.5	300	99.2	6.0	Ba2/BB-/BB-
AKBANK TAS	AKBNK	USM0375YAK49	USD	5.0%	Financial	10/24/2022	2.1	500	99.6	5.2	B2/B+/-
AKBANK TAS	AKBNK	XS1210422074	USD	5.1%	Financial	3/31/2025	4.1	500	94.9	6.4	B2/B+/-
TC ZIRAAT BANKASI AS	TCZIRA	XS1223394914	USD	4.8%	Financial	4/29/2021	0.8	500	100.4	4.2	B2/B+/-
TC ZIRAAT BANKASI AS	TCZIRA	XS1605397394	USD	5.1%	Financial	5/3/2022	1.7	600	98.3	6.1	B2/B+/-
TC ZIRAAT BANKASI AS	TCZIRA	XS1691349010	USD	5.1%	Financial	9/29/2023	2.9	500	95.8	6.6	B2/B+/-
TURKIYE GARANTI BANKASI	GARAN	USM8931TAA71	USD	6.3%	Financial	4/20/2021	0.8	500	101.7	4.1	B2/B+/-
TURKIYE GARANTI BANKASI	GARAN	USM8931TAF68	USD	5.3%	Financial	9/13/2022	2.0	750	100.0	5.2	B2/B+/-
TURKIYE GARANTI BANKASI	GARAN	XS1576037284	USD	5.9%	Financial	3/16/2023	2.4	500	100.3	5.8	B2/B+/-
TURKIYE GARANTI BANKASI	GARAN	XS2094608580	USD	5.3%	Financial	12/20/2024	3.9	50	95.0	6.6	-/B+/-
TURKIYE IS BANKASI A.S	ISCTR	XS1079527211	USD	5.0%	Financial	6/25/2021	0.9	750	100.4	4.6	B3/B+/-
TURKIYE IS BANKASI A.S	ISCTR	XS1390320981	USD	5.4%	Financial	10/6/2021	1.2	750	100.7	4.8	B3/B+/-
TURKIYE IS BANKASI A.S	ISCTR	XS1508390090	USD	5.5%	Financial	4/21/2022	1.7	600	99.9	5.6	B3/B+/-
TURKIYE IS BANKASI A.S	ISCTR	XS0847042024	USD	6.0%	Financial	10/24/2022	2.1	1,000	99.3	6.3	Caa2/B-/BB-
TURKIYE IS BANKASI A.S	ISCTR	XS1003016018	USD	7.9%	Financial	12/10/2023	3.0	400	101.5	7.4	Caa3/B-/BB-
TURKIYE IS BANKASI A.S	ISCTR	XS1578203462	USD	6.1%	Financial	4/25/2024	3.3	1,250	97.6	6.9	B3/B+/-
TURKIYE IS BANKASI A.S	ISCTR	XS2041003901	USD	8.1%	Financial	12/3/2029	6.0	50	93.2	9.2	NR/B+/-



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზარებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზარებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილუდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოფს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** ადამაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,  
საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** gt@gt.ge